CAUCASUS ACADEMY OF SECURITY EXPERTS

საქართველოს პერსპექტივები ენერგო უსაფრთხოების სფეროში

დავით კუხალაშვილი
თეა კუხალაშვილი

წინასიტყვაობა

საქართველომ, ისევე როგორც მთლიანად კაცობრიობამ, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მემკვიდრეობით უმძიმესი პრობლემები მიიღო. ესენია:

•შიმშილთან და სიღატაკესთან ბრძოლა;

•შიგა და გარე სოციალურ–პოლიტიკური დაძაბულობა;

•ბუნებრივი რესურსების მზარდი დეგრადაცია, ამოწურვა.

პრობლემათა ეს ნუსხა ფაქტობრივად ერთი-ანდება „ადამიანის ეკოლოგიის“ ერთ მთლიან გლობალურ პრობლემაში; (ესეც ეკოლოგიის, როგორც გლობალური მულტიდისციპლინის მახა-სიათებელია). ასეთი გაერთიანება კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემებისა გამოსავლის ერთიან გზებზე მიგვანიშნებს, რასაც კანონზომიერად მივყავართ „მდგრადი განვითარების“ კონცეფციამდე. მისი მიღწევის სტრატეგიის ჩამოყალიბებას და რეალიზაციას ესაჭიროება მრავალი დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევა. მასზე, ამჟამად, მთელი მსოფლიო ფიქრობს და მუშაობს.

საქართველოსათვის სათანადო პროგრამა რეალურად ჯერ კიდევ შესამუშავებულია. ამგვარ მულტიდისციპლინარულ პრობლემას მხოლოდ ჭეშმარიტი მოწინავე მეცნიერების ძალისხმევა თუ გადაჭრის! ამ პრობლემის ერთი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი წახნაგი გაშუქებულია წინამდებარე ნაშრომში.

წინაისტორიულ ეპოქაში, ცეცხლის დამორჩი-ლების შემდეგ, კაცობრიობამ არცთუ ბევრი რამ შეცვალა ენერგეტიკაში. სანამ თანამედროვე ცივი-ლიზაცია პრინციპულად არ შეცვლის ენერგიის მიღების ტექნოლოგიებს, სანამ წვის პროცესი იქნე-ბა სითბური და კინეტიკური ენერგიების მიღების ძირითადი პროცესი, ანტიეკოლოგიური და „ანტი-ბუნებრივი“ თავისი „შებრუნებული“ არსით, (ბუნე-ბაში მზის ენერგიის ათვისებით ფოტოსინთეზის პროცესში წარმოიშვება ორგანული ნივთიერება და ჟანგბადი, ტექნიკურ დანადგარებში კი პირიქით, ჟანგბადი და ორგანული ნივთიერება იხარჯება ენერგიის მისაღებად), მანამ ენერგიის ორგანული წიაღისეული ნედლეული იქნება ქვეყნის კეთილ-დღეობისა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი. სანამ ცივილიზაცია არ გადალა-ხავს განვითარების ამ ეტაპს, სანამ კაცობრიობა არ „მოერევა“ წვის პროცესს, მანამ წიაღისეული საწვა-ვის მფლობელები იქნებიან პრიველიგირებულ მდგო-მარეობაში!

თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების დონის ძირითადი გამნსაზღვრელია მოხმარებული ენერგიის რაოდენობა. ცივილიზაციის მომავალ ბედს და განვითარების ტემპებს მთლიანად მისი ენერგო-აღჭურვილობა განაპირობებს. ამიტომ თანამედროვე ცივილიზაცია აყალიბებს ენერგორესურსების გადა-ნაწილების გლობალურ სისტემებს.

საწვავი რესურსები და ბუნებრივი ფაქტორები ჯერჯერობით ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან რესურსს წარმო-ადგენენ. ფუტუროლოგიურ მოდელებში ცივილი-ზაციის განვითარების დამოკიდებულება ბუნებრივ რესურსებსა და ფაქტორებზე ან უსაფუძვლოდაა ფეტიშირებული (ამის მაგალითია „გეოგრაფიულო-ბის“ იდეები შ. მონტესკიეს ფილოსოფიურ ნაშრო-მებში და აგრეთვე ლ. ნ. გუმილიოვის „პასიონა-რული განვითარების“ მოძღვრებაში), ან იგნორი-რებულია (საკმარისია კრიტიკულად შევაფასოთ ა.ს. ხომიაკოვის სადისკუსიო გამოთქმა – „ბუნებრივ-კლიმატურ ფაქტორებზე ისტორიის დამოკიდებულე-ბა პირობითია და სულ უფრო მცირდება“). ამ საკითხის მზარდი აქტუალობა მიმდინარე ათას-წლეულში დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობის

შედეგად ჰავის სავარაუდო არასასურველ ცვლილე-ბებთან და სულ უფრო გაზრდილ კატასტროფების ალბათობასთან. ამავე დროს, ბუნებრივი რესურ-სების ოპტიმალურ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა ენიჭება „მდგრადი განვითარების“ კონცე-ფციაში.

XXI საუკუნის დამდეგისათვის გამწვავებული გლობალური ეკოლოგიური კრიზისიდან თავის დასაღწევი ალტერნატიული გზების ძიებამ, კანონ-ზომიერად მიიყვანა მეცნიერება ცივილიზაციის „მდგრადი განვითარების“ კონცეფციამდე. ეს უკა-ნასკნელი დეკლარირებას უკეთებს გარემოსა და ტექნოცივილიზაციის ჰარმონიული თანაარსებობის მცდელობას. მიუხედავად ამ თანაარსებობის შესა-ძლებლობის დეკლარატიული ხასიათისა (ეს აზრი აკადემიკოს ი. მოისეევს ეკუთვნის), მთელი რიგი პროგრესულად მოაზროვნე ფუტუროლოგი, ენვი-როლოგი, ეკოლოგი თუ ფილოსოფოსი შესა-ძლებლად მიიჩნევენ ამგვარი განვითარების ოპტიმი-ზაციას და იკვლევენ მეთოდოლოგიურ მიდგომებს „მდგრადი განვითარების“ კრიტერიუმების შესამუშა-ვებლად. არა ერთი მონოგრაფია და საკვალიფი-კაციო ნაშრომია მიძღვნილი კონკრეტული მიდგომე-ბის დამუშავებისადმი.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ძირითად ენერგეტიკულ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს ემყა-რება, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენი-ჭება ეგრეთ წოდებულ „ეკონომიკური ანალიზის გზის“ მიდგომებში. საპირისპირო მიდგომებში ყურა-დღება გამახვილებულია „ბიოდეგრადაციის კრიტე-რიალურ შეფასებებზე“.

სავსებით გასაგებია, რომ ოპტიმალური გზა „მდგრადი განვითარების“ კრიტერიალური მახა-სიათებლების ჩამოყალიბებისათვის, სადღაც ამ ორ უკიდურეს მიდგომათა შორის მდებარეობს და მაინც მნიშვნელოვნად განპირობებულია ენერგეტიკული რესურსებით.

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მეცნიერული ღირებულება – ინფორმაციული უზრუნველყოფა – მომსახურებაა უმნიშვნელოვანესი-ენერგეტიკული დარგისა, რესურსუზრუნველყოფის მოტივაცია – რეალიზაციის გზების ანალიზი.

ავტორებმა ყურადღება დაუთმეს პრობლემებს რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში, რაც უკა-ნასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა.

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს:

☛ კომპლექსურ მიდგომებს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიურ-რესურსული პრობლე-მებისადმი;

☛ ინსტიტუციალური და სანორმატივო, საკანონმდებლო ბაზის გარდაქმნა, სრულყოფას;

☛ გადაწყვეტილებების მიღების მეცნიერული დასაბუთების ზრდისათვის ინფორმაციული სისტე-მების სრულყოფასა და ერთიანი გლობალური ინფორმაციული ქსელების შექმნას გლობალური მონიტორინგის განსახორციელებლად.

ყველა ამ პრობლემის გადაჭრისათვის ავტო-რები იკვლევენ და ისტორიულ ასპექტში წარმო-აჩენენ უმთავრესი სტრატეგიული ენერგონედლე-ულის მსოფლიო გადანაწილების სისტემებს.

ამჟამად, ცოდნა რეალიზებულია ინფორ-მაციული სისტემების სახით. ახალმა ინფორ-მაციულმა სისტემებმა მთლიანად შეცვალეს საზო-გადოებაში ინფორმაციის გავრცელების წესები. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის საშუალებით, ინფორმაციას თავად მომხმარებელი აკონტროლებს და არა მიმწოდებელი.

პრინციპულად შეცვლილია და გაზრდილია შესაძლებლობები გლობალური მონიტორინგული სისტემებისა; სრულყოფილი ხდება ამ სისტემების ინფორმაციული მასალის განზოგადების შედეგად შექმნილი სადირექტივო დოკუმენტები.

საერთაშორისო და ნაციონალურ დონეებზე შეიმჩნევა პროგრესი გადაწყვეტილებების მისაღე-ბად ანალიტიკური მასალების მომზადების სფერო-ში.

გეოინფორმაციული სისტემების ათვისება-დანერგვამ თვისობრივად შეცვალა საინფორმაციო მასალების ინფორმატიულობა და ხელმისაწვდომო-ბა. ამავე დროს მთელ რიგ ქვეყნებში იქმნება ინფორმაციული დეფიციტის პრობლემები. ეს უკვე აქტუალურია არა მარტო საქართველოსათვის, არა-მედ, მთელი კავკასიის რეგიონისათვის. ადამიანის საქმიანობის შედეგად ბუნებრივ გარემოში გამო-წვეული ძვრების შეფასება ხშირად შეუძლებელი ხდება განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების სიმცირე შეუძლებელს ხდის პრაქტიკულად ავითვი-სოთ გაზრდილი გარემოს დაცვითი ხასიათის საინ-ფორმაციო ტექნოლოგიები. არავითარი შეფასების ან გადაწყვეტილებების მიღების სისტემას არ შეუძლია მოგვცეს საწყის მასალაზე ხარისხით აღმატებული შედეგები. ახალი საინფორმაციო ტექ-ნოლოგიების მიერ გენერირებული მონაცემთა ბაზე-ბი უსახსრობის გამო ხშირად აუთვისებელი, დაუმუ-შავებელი გვრჩება.

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი ერთ სულ მოსა-ხლეზე ელექტროენერგიის წლიური მოხმარებაა. ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებში აღნიშნული სიდიდე 10-15 ათას კვ.სთ-ს შეადგენს. საშუალოდ ევროპის ქვეყნე-ბისათვის 8 ათასს, რუსეთშიც კი 7 ათასია. ამ დროს საქართველოში ეს მაჩვენებელი სულ 1700 კვ.სთ-ს დონეზეა. საქართველოში ეკონომიკა ისე რომ ამოქმედდეს, რომ ეს მაჩვენებელი თუნდაც 5 ათასი კვ.სთ-ს დონეზე ავიდეს, ანუ საერთო მოხმა-რების დონემ მიაღწიოს 20 მილიარდ კილოვატ-საათს, მაშინვე გამოჩნდება რამდენად დიდი პრობ-ლემებია ქვეყნის განვითარებაში.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისების უკანასკნელმა პერი-ოდმა ბევრი ეკოლოგიური ჭეშმარიტება გამო-ამჟღავნა. გაირკვა რომ:

- ბუნებაზე ყველაზე დამანგრევლად ენერ-გეტიკული კრიზისი მოქმედებს, რომელიც ეკონო-მიკური კრიზისის კანონზომიერი გამომწვევია;
- ეკონომიური კრიზისი ბუნებრივი რესურსების მზარდი გაჩანაგებით ხასიათდება;
- ენერგეტიკული დამოუკიდებლობა პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკოლოგიური სტაბილურო-ბის გარანტია.

ამ აქსიომატიკიდან ცალსახად გამომდინა-რეობს საქართველოში საბაზისო თბოელექტრო-სადგურის მშენებლობის არა მარტო ეკონომიური და ენერგეტიკული აუცილებლობა, არამედ სოცი-ალური და პოლიტიკური დასაბუთებაც.

მძლავრი საბაზისო მარეგულირებელი სადგუ-რის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ენერგოსისტემის დარეგულირება და სტაბილურობის მიღწევა. ჰიდრო-ენერგეტიკის პარადოქსი ისაა, რომ რაც მეტია საერთო გამომუშავება, მით უფრო მწვავდება მოთხოვნილება მარეგულირებელ სიმძლავრეებზე. გამომდინარე არსებული მოთხოვნილებიდან, საქარ-თველოში მაღალი სიმძლავრის მარეგულირებელი საბაზისო თბოელექტროსადგურის მშენებლობის აუცილებლობა ცალსახად ითხოვს ამგვარი ობიექ-ტებისათვის (მძლავრი თბოენერგოობიექტი, დიდი მოცულობის მაღალტოქსიკური ამონაბოლქვით) დამუშავებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთე-ბული კრიტერიუმები ეკოლოგირად უსაფრთხო განთავსებისათვის მთიან

რეგიონში. ამ საკითხების ეკოლოგიურად დასაბუთებულ გადაჭრაში გეო-ეკოლოგიას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. პირველ პლანზე დგება კლასიკური გეოეკო-ლოგიური ამოცანა-სამშენებლო მოედნის ეკოლო-გიურად უსაფრთხო შერჩევის კრიტერიუმების გამო-მუშავების პრობლემა. კიდევ უფრო წინა პლანზე კი დგება ამ თბოელექტროსადგურის საწვავის შერჩევა და ამ პრობლემის გადაჭრა სავსებით შეუძლებელია წინამდებარე ნაშრომის გარეშე. და ამგვარ პრობ-ლემებს ავტორები, ალბათ, შემდგომ ნაშრომებში კვლავ შეეხებიან. ვუსურვოთ მათ კვლავ შეექმნათ ასეთი საინტერესო, აქტუალური, მეცნიერულად დახვეწილი ნაშრომები.

მარატ ციცქიშვილი

საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ევროპის საბუნებისმეტყველო აკა-დემიის აკადემიკოსი (ჰანოვერი), აზერბაიჯანის ეკო-ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქარ-თველოს მედიცინის მეცნიერებათა და პროფი-ლაქტიკური მედიცინის აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის UNESCO-ს კათედრის პროფესორი - გეო-ეკოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ცენტრის უფროსი, ფიზ.-მათ. მეცნ. და ბიოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

უძველესი პერიოდიდან დღემდე განვითარე-ბული ისტორიული მოვლენების ანალიზი გვიჩვე-ნებს, რომ მსოფლიოში სახელმწიფოებს შორის დომინირებისათვის ბრძოლა მუდმივი პროცესია.

ბრძოლების ძირითადი მიზანი უცხო ქვეყნე-ბის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის განხორ-ციელებაში, საკუთარი (ან სტრატეგიული პარტნი-ორის) რესურსების, სხვისთვის იძულებით (ე.ი. საზიანო) გამოყენების ორგანიზებაში მდგომარეობს.

მსოფლიოში დომირებისათვის, მათთან სტრა-ტეგიული პარტნიორობისათვის მებრძოლი სახელმ-წიფოები დადებითი საზოგადოებრივი აზრის ჩამო-ყალიბებისა და განვრცობისათვის დიპლომატიური და სხვა არხების საშუალებებით მუდმივ ზრუნვას იჩენენ რესურსებით მდიდარი ან ღარიბი ქვეყნე-ბისადმი.

სასურველი პოზიციების დასამყარებლად სახელმწიფოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მუდმივი შეს-წავლა, გამოყენება ან მისი მიზანმიმართულად შექმნა დაინტერესებული სახელმწიფოების მხრიდან მუდმივად ხორციელდება.

ისტორიული პროცესების ანალიზი გვიჩვე-ნებს, რომ დომინირებისათვის მებრძოლი ქვეყნების (მათი სტრატეგიული პარტნიორების ან სატელი-ტების) მხრიდან, მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამოყენებით, გახშირე-ბულია სხვადასხვა მასშტაბების კონფლიქტების ინსპირირება სახელმწიფოებში ან სახელმწიფოებს შორის.

სახელმწიფოთა პერსპექტიული განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობა დამა-ზიანებელი შედეგების გამომრიცხავი, სხვადასხვა სახის რესურსებით თვითუზრუნველყოფის პროცე-სის ორგანიზებაა. ამ კუთხით ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებას ჩვენს ნაშრომში განხილული თემა წარმოადგენს.

თემის აქტუალობაზე მეტყველებს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მჭიდრო კავშირი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ამასთან ერთად, ორთავე მიმართულების განსა-კუთრებით მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების დაცვის, შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგა-ნიზაციასთან.

გამოდის, რომ საკვლევი თემა ქვეყნის საგა-რეო და საშინაო პოლიტიკის დაგეგმარებისათვის აუცილებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმარ-თულებაა, რომლის წარმატებით განხორციელება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის გარეშე წარმოუდგენელია. სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო

პროცესის წარმატების ძირითად ნიშანს კი ქმედებებში ბალანსი და მისი მუდმივი შენარ-ჩუნება წარმოადგენს.

ვფიქრობთ ნაშრომი საინტერესო იქნება პრობლემით დაინტერესებული მკითხველისათვის.

დავით კუხალაშვილი
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი

თეა კუხალაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტი

განვითარებული ისტორიული პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოში სახელმწი-ფოთა სტატუსი მათი ეკონომიკური თვითუზრუნ-ველყოფის მაჩვენებლებზეა დამოკიდებული, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის და ეროვნული უსა-ფრთხოების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორიცაა.

სახელმწიფოთა თვითუზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ენერგოუსაფრთ-ხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რადგან ენერგეტიკის განვითარება ქვეყნის და საწარმოო ძალების განვითარების პროცესებთან მჭიდრო კავშირშია.

ისტორიული პროცესების ანალიზით შეი-ძლება დავასკვნათ, რომ ენერგეტიკული უსაფრ-თხოების მიღწევა შესაძლებელია:

1. ***ქვეყნის საკუთარი (არსებული და პერსპექ-ტიული) რესურსების ხარჯზე***;
2. ***ენერგომარაგების იმპორტის ხარჯზე*** (რაც უცხო ქვეყნებზე მიზანმიმართულ ეკონომიკურ დამო-კიდებულებას შეიძლება დაუკავშირდეს. მისი აღკვე-თის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მონო-პოლისტ იმპორტიორთა შესაძლო შენიღბული და დამაზიანებელი ქმედებების დროული გამოვლენაა.);

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო ენერგეტიკული რესურსების ნაკლე-ბობას განიცდის.

ისტორიული პროცესების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ენერგეტიკულ რესურ-სებზე კონტროლს უკავშირდება სახელმწიფოებს შიგნით და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტები.

ძალადობრივი კონფლიქტები ძირითადად, ბუნებრივი რესურსების ამოწურვის ფონზე, სახელმ-წიფოთა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიღატაკეს უკავშირდება. კონფლიქტების ისტორიის ანალიზით, კონკრეტული მიზნების მისაღწევად, ძალადობრივი კონფლიქტების ინსპირირებისათვის მყარ დასაყრდენ ძალად სწორედ ასეთი ტიპის სახელმწიფოები და მოსახლეობა ითვლება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების კვლე-ვებით დადგენილია, რომ ბუნებრივი რესურსები კონფლიქტების წარმოშობის, განგრძობადობის და დაფინანსების წყაროდ ითვლებიან...[1] მისი როლი დიდია სამოქალაქო ომებში.

XX საუკუნის დასასრულს, საქართველოში ინსპირირებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ საფუძველი დაუდო ქვეყნის ინტერესების საწინა-აღმდეგოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვების (მათ შორის დამაზიანებელი) და რეალიზაციის ორგანი-ზებულ პროცესებს, რამაც საბოლოო ჯამში ბუნებრივ რესურსებზე უცხო ქვეყნების მასშტა-ბური, ზოგჯერ დამაზიანებელი კონტროლი უზრუნ-ველყო.

პროცესებში მსგავსება შეიმჩნეოდა სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებშიც. საბჭოთა კავში-რის დაშლის შემდგომ პერიოდში, პოსტსაბჭოურ სივრცეში

[1] Michael Ross. „Natural Resources and Civil War: An Overview with Some Policy Options.“ http://siteresources.worldbank.org;

სახელმწიფოთა შორის და სახელმ-წიფოებში ინსპირირებული ძალადობრივი კონფლიქ-ტების ერთ-ერთი ორგანიზატორი რუსეთის ფედე-რაცია იყო. მის ძირითად მიზანს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალური და პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციით, განვითარების (მათ შორის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის) პროცესების შეფერხება და ფაქტობრივი ვითარე-ბიდან გამომდინარე, სადაზვერვო კონტროლის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. დამაზიანებელი ქმედებების საბოლოო მიზანი კი დარღვეული სივრ-ცის სრული კონტროლის აღდგენაში მდგომა-რეობდა.

ამ პერიოდიდან დღემდე, პოსტსაბჭოურ სივრცეზე და საერთოდ მსოფლიოს მასშტაბით, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული და სასი-ცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედი ქვეყნები სხვადასხვა ფორმით ჩართულები არიან რუსეთის მხრიდან დამაზიანებელი ქმედებების შემცირებაში ან საერთოდ განეიტრალებაში, რასაც დარღვეულ სივრცეზე განფენილი ქვეყნების ბაზრების და სიმდიდრეების ათვისების პროცესებიც თან სდევს.

ფაქტობრივად სახეზეა ინტერესთა კონფ-ლიქტი სახელმწიფოებს შორის, რაც ვითარების უმოკლეს ვადაში გამოსწორების ალბათობას პრაქტიკულად გამორიცხავს. ეს კი კონფლიქტების მიზანმიმართულ განგრძობადობისაკენ მიანიშნებს.

კონფლიქტები და მათი განვითარება ნავთობის მარაგებზე

მსოფლიოში ***არაღდგენადი რესურსის – ნავთობის მარაგების*** ამოწურვა ექსპერტთა[2] 2008 წლის გათვლებით 40,9 წელიწადში უნდა მოხდეს.

ნავთობის მარაგებზე კონტროლის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს დომინირე-ბის ხარისხს საერთაშორისო არენაზე, რაც სახელმ-წიფოებზე ზეწოლის გამოყენების საუკეთესო ინსტრუმენტად გამოიყენება. ნავთობისათვის ბრძო-ლის ისტორია მრავალი ვიწრო და ფართო მასშტა-ბების საბრძოლო კონფლიქტებით არის მდიდარი, მათ შორის:

☛1880 წლისათვის მსოფლიო ბაზრებზე დომი-ნირებისათვის ბრძოლა ამერიკულ და ფრანგულ კომპანიებს შორის მიმდინარეობდა,[3] რომლის ერთ-ერთ შედეგად 1883 წელს რუსეთის ბაზრიდან ამერი-კული ნავთობკომპანიის განდევნა უნდა მივიჩნიოთ.

ამ პერიოდში ფრანგულ და ამერიკულ კომპა-ნიებს შორის ომის პირობებში ბაქოსა და ბათუმში (5 მილ. რუბლის) ინვენსტიციების ჩადების უზრუნ-ველყოფის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის საბანკო სექტორი. ყოველივე კომპანიების სახელმწიფო (ინტერესების) დონეზე მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იქნე-ბოდა.

☛დენიელ ერგინი[4] მიიჩნევს, რომ ნავთობის მნიშვნელობაზე წარმოდგენები I და II მსოფლიო ომის მიმდინარეობისას კიდევ უფრო გაიზარდა. უფრო მეტიც, მისი

---

[2] „Erdöl-Daten weltweit Reserven, ressourcen weltweit.“ www.agenda21-treffpunkt.de;

[3] Brita Asbrink. „The War over the oil market.“ www.branobel-history.com;

[4] Ергин Дэниел. „Добыча. Всемирная история борьбы за нефть, деньги и власть.“ www.gumer.info;

აზრით, ორივე ომში გერმანიამ, როგორც ამ ნედლეულის არმქონე სახელმწიფომ ნავთობის მარაგებზე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ბრძოლები განახორციელა.

☛ 1991 წლის იანვარ–თებერვალში ერაყსა და 32 ქვეყნისაგან შემდგარ კოალიციას შორის საბრძო-ლო მოქმედებები, ქუვეითში ერაყის შეჭრას მოჰყვა. კონფლიქტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ქუვეიტის მხრიდან ერაყის კუთვნილი ნავთობის საბადოდან ნავთობის უკანონო გადაქაჩვა გახდა.

☛1991 წელს სპარსეთის ყურის კონფლიქტი ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია „ოპეკის“ დესტაბილიზაციის[5] მიზნით განხორციელ-და.

☛2011 ნავთობის მარაგებზე კონტროლის მიზნით ლიბიაში სამოქალაქო ომის ინსპირირებაში სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი რუსეთმა[6] (როგორც ხელისუფლებისათვის იარაღის მიმწოდებელმა. სწორედ ეს იარაღი დაურიგა ხელისუფლებამ ყველა მხარდამჭერს) და საფრანგეთმა (აჯანყებულებზე იარაღის მიყიდვით) ითამაშეს;

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქარ-თველოსათვის მნიშვნელოვანი, ნავთობით მდიდარი ძირითადი სახელმწიფოების ჩამონათვალი[7] ასე შეიძლება გამოვსახოთ:

N	სახელმწიფო	ნავთობის მარაგები (ბარელი)
1	საუდის არაბეთი	262 600 000 000
2	ვენესუელა	211 200 000 000
3	კანადა	175,200,000,000
4	ირანი	137,000,000,000
5	ერაყი	115,000,000,000
6	კუვეიტი	104 000 000 000
7	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	97,800,000,000
8	რუსეთი	60,000,000,000
13	ამერიკის შეერთებული შტატები	20,680,000,000
19	აზერბაიჯანი	7,000,000,000
58	თურქეთი	270 400 000
103	*სომხეთი*	*0*

უახლესი ისტორიის განმავლობაში საქარ-თველოში ნავთობის მოხმარების სტატისტიკა ასე გამოიყურება:[8]

---

[4] „PRESIAN GULF WARS.“ The Columbia Encyclopedia. Copyright ¤ 2007. Columbia university Press. www.infoplease.com;

[5] „OILL AND WAR: THE ARTIFICES OF 20TH CENTRY HISTORY.“ Wold Summit on Sust ainable Development Johannesburg.2002. www.wrm.org.uy;

[6] „Война в Ливии стоила России четырех миллиардов дол-ларов.“ http://top.rbc.ru;

[7] „Нефть-разведанные запасы 2011.“ http://iforma-tsiya.ru;

[8] „Georgia Oil – consumption.“ www.indexmundi.com;

პერიოდი	ბარელი/დღე-ღამეში
2001 წ.	31500
2003 წ.	13000
2004 წ.	13000
2006 წ.	12980
2009 წ.	13000



მოხმარების თვალსაზრისით 2010 წელს 2009 წლის თანხვდენილი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ირაკლი ჩომახიძის კვლევით,[9] 1987 წელს საქართველოში 3322 ათასი ტონა ნავთობი მოი-პოვებოდა, ხოლო პერიოდების მიხედვით მოპოვების სტატისტიკა ცხრილისა და დიაგრამის სახით ასე შეიძლება გამოვსახოთ:

პერიოდი (წლები)	ათასი ტონა	ათასი ტონა
1981-1987	3322	183
1988-1993	186	88
1994-2000	67	110
2001-2005	99	66,6



იმავე კვლევაში აღნიშნულია, რომ სს „საქნავთობის მონაცემებით“ 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნავთობის გეოლოგიური მარაგი შეადგენს 1381, ხოლო ამოსაღები მარაგი 525 მილიონ ტონას.

განხილულ მიმართულებაზე ენერგეტიკული უსაფრთხოების დადებით მაჩვენებელზე მიანიშნებს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობ-სადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.

მიუხედავად ამისა, საქართველომ კვლავ უნდა იზრუნოს ენერგეტიკული უსაფრთხოების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის, რადგან: „კასპიური ენერგომატარებლების საბადოების და სატრანზიტო გზების კონტროლისათვის ბრძოლა შემდგომშიც გაგრძელდება და ამ ბრძოლის შუაგულში საქარ-თველო იქნება მოქცეული.“[10]

ამრიგად, <u>არაღდგენადი რესურსის – ნავთო-ბის მარაგების</u> თვალსაზრისით საქართველო მუდმი-ვად დამოკიდებული იქნება იმპორტზე, რაც ყოველ-თვის უკავშირდება ბაზრების დასაპყრობად ბრძო-ლას, რომელშიაც უპირატესობა უკვე

---

[9] ირაკლი ჩომახიძე. „საქართველოს ელექტროენერგე-ტიკის სტრატეგიული პრობლემები და განვითარების პოტენციალი.“ (დისერტაცია-ტმკ ხარისხის მოსაპოვებ-ლად.) თბილისი. 2006. გვ.77-79;

[10] მალხაზ მაცაბერიძე. „რუსეთის აგრესიამ საქართველოს წინააღმდეგ მეზობელი ქვეყნებიც დააზარალა.“ ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“ №3(19), 2008. http://www.aaf.ge;

მსგავსი განფენის შესაბამისად, ტრანსპორტირების სიიაფით გამორჩეულ სახელმწიფოებს ე.ი. სამეზობლოს ექნე-ბა.

►◄ნედლეულის სიმდიდრით გამორჩეული სახელმწიფოები ***რუსეთი, ირანი და აზერბაიჯანი*** საქართველოს ბაზრებზე შეღწევადობის (***საკუთარი (მათ შორის უხარისხო) პროდუქციის რეალიზაციის, ჩვენს ქვეყანაში არსებული მარაგებზე კონტროლის უზრუნველსაყოფად***) და ამ მიზნისათვის კონტრო-ლის უზრუნველმყოფი ძირითადი ჯგუფის მნიშვნე-ლოვანი კონკურენტები იქნებიან;

►◄ ***სომხეთი***, როგორც ***ნედლეულის საერთოდ არმქონე სახელმწიფო რუსეთის*** კონტროლს დაქვემდებარებული, ***ინსპირირებული*** ე.წ. ყარაბახის ***კონფლიქტის*** გამო აზერბაიჯანთან პრობლემის მოსაგვარებლად ვერ ითანამშრომლებს და ძირი-თადად ***დამოკიდებული*** იქნება ***რუსეთსა და ირანზე***;

►◄მიღწეული ვითარებით ამ ქვეყნების მიზნების სასარგებლოდ ***მონოპოლისტ იმპორტიო-რებზე არასასარგებლო მუდმივი დამოკიდებულების ინსპირირების საფრთხეები გაზრდილია, რაც შესა-ძლოა დაუკავშირდეს ამ კუთხით ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შეფერხებას. გამოდის, რომ ამ მიმართულებით სახეზეა ენერგეტიკული უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი.***

►◄მასშტაბური მარაგების არ არსებობის მიუხედავად, ***საქართველოში არსებულ ნავთობის მარაგებზე დამაზიანებელი კონტროლის უზრუნ-ველყოფის საშიშროება დაინტერესებული ქვეყნების მხრიდან კვლავ არსებობს***;

▼▲ ვითარების სიმძიმეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მუდმივად არსებობს სახელმ-წიფოთა სტრატეგიული და სასიცოცხლო ინტერე-სების თანხვედრა.

კონფლიქტები და მათი პერსპექტივა ბუნებრივი აირის მარაგებზე

როგორც ნავთობის მარაგების შემთხვევაში, არააღდგენად ბუნებრივ რესურზე-***ბუნებრივი აირის მარაგებზე კონტროლი*** სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის ბრძოლა-ში გადამწყვეტია.

ბუნებრივი აირის მარაგებზე კონტროლის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ისტორიაც მრავა-ლი ვიწრო და ფართო მასშტაბების საბრძოლო კონფლიქტებით არის „გამდიდრებული“, მათ შორის:

☛ „ცივი ომის“ პერიოდიდან დღემდე, ავღანეთ-ში სისტემატიური საომარი კონფლიქტები, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან (მათ შორის ნავთო-ბისა და გაზის სატრანზიტო გზად გამოყენება) ერთად ბუნებრივი აირის მარაგებზე კონტროლის უზრუნველყოფას ემსახურება.

ჯერ კიდევ 1960 წელს[11] საბჭოთა კავშირის სპეციალისტების მიერ, ავღანეთში აღმოჩენილი იყო მასშტაბური ბუნებრივი აირის მარაგები, რომლის შემდგომაც საკუთარ სახელმწიფოში (სსრკ-ავტ.) ყოველწლიურად 2,5 მილიარდი $მ^3$ ბუნებრივი აირის გადაქაჩვას უზრუნველყოფდა;

[11] „The War is Worth Waging": Afghanistan's Vast Reserves of Minerals and Natural Gas The War on Afghanistan is a Profit driven "Resource War". www.globalresearch.ca;

☛ სამხრეთ ამერიკაში მდებარე ბოლივია ბუნებრივი აირით მდიდარი სახელმწიფოა და 1990 წლიდან მის მასშტაბურ ექსპორტს ანხორციელებს, მაგრამ ქვეყანა სიღარიბეში ცხოვრობს და ხშირია ძალადობრივი კონფლიქტები (მათ შორის 2003 წელს 80 ადამიანი დაიღუპა)[12] ქვეყნის შიგნით, რომლის ძირითად წყაროს, ბუნებრივი აირის ექსპორტის საწინააღმდეგო მასობრივი პროტესტები წარმო-ადგენს.

☛ 2008 წელს[13] ისრაელის შეჭრა ღაზას სექტორში ბუნებრივი აირის მასშტაბურ მარაგებზე კონტროლის მიზნით განხორციელდა.

☛2010 წელს[14] სწორედ ხმელთაშუა ზღვაში ისრაელის მიერ ბუნებრივი აირის მოპოვება კონ-ფლიქტის წყარო გახდა ისრაელსა და თურქეთს შორის.

მსოფლიოში ***ბუნებრივი აირის*** მარაგების რაოდენობა 2008 წლისათვის 6,342,411 ტრილიონ $მ^3$ შეადგენდა.

ბუნებრივი აირის მარაგების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. მარაგების ამოწურვა 60-200-250 წლის[15]-[16]-[17] შემდგომ არის ნავარა-უდევი.

2009 წლის იანვრის მდგომარეობით, საქარ-თველოსათვის მნიშვნელოვანი, ბუნებრივი აირით მდიდარი ძირითადი სახელმწიფოების ჩამონა-თვალი[18] ასე შეიძლება გამოვსახოთ:

N	სახელმწიფო	ბუნებრივი აირის მარაგები (მილიონი კუბური მეტრი)
1	რუსეთი	47570000
2	ირანი	29610000
3	ყატარი	25260000
4	თურქმენეთი	7940000
5	საუდის არაბეთი	7319000
6	ამერიკის შეერთებული შტატები	6731000
7	არაბეთის გაერთიანებული ემირატები	6071000
26	აზებაიჯანი	849500
80	საქართველო	8495
81	თურქეთი	8495
82	სომხეთი	0

2011 წლის 1 იანვრის[19] მდგომარეობით საქართველოში ბუნებრივი აირის მარაგი პრაქტი-კულად უცვლელია.

ამ მიმართულებით ენერგეტიკული უსაფრ-თხოების დადებით მაჩვენებლად ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის არსებობა უნდა ჩაითვალოს.

<u>ბუნებრივი აირის მარაგების</u> თვალსაზრისით საქართველო მუდმივად დამოკიდებული იქნება იმპორტზე, რაც ბაზრების დასაპყრობად ბრძოლის პირობებში უპირატესობას მარაგებით მდიდარ და ტრანსპორტირების სიიაფით გამორჩეულ სახელმ-წიფოებს ე.ი. სამეზობლოს მიანიჭებს.

►◄ ***რუსეთი, ირანი და აზერბაიჯანი*** საქარ-თველოს ბაზრებზე შეღწევადობის და ამ მიზნი-სათვის კონტროლის უზრუნველმყოფი ძირითადი ჯგუფის მნიშვნელოვანი კონკურენტები იქნებიან;

---

[12] Jason Wilcox. „Bolivia: Civil Unrest and Natural Gas." http://www1. american.edu;

[13] Michel Chossudovsky. „War and Natural Gas: The Israeli Invasion and Gaza's Offshore Gas Fields." www.intifada-palestine.com

[14] „Armed conflict with Turkey a "matter of time" as Erdogan vows to send warships with next flotilla." http://israel-insider.net;

[15] „Erdgas-Reserven reichen noch für 200 Jahre.“ www.welt.de;

[16] „Energy crisis is postponed as new gas rescues the world.“ www.telegraph.co.uk;

[17] „ბუნებრივი აირის მარაგები მსოფლიოს 250 წელი ეყო-ფა.“ http://geonews.ge;

[18] „Proved Natural Gas Reserves of the World.“ http://world.bymap.org;

[19] „Natural gas - proved reserves.“ www.indexmundi.com;

►◄ბუნებრივი აირის ***საერთოდ არმქონე სახელმწიფო სომხეთი, ინსპირირებული*** ე.წ. ყარა-ბახის ***კონფლიქტის*** მაკონტროლებელი სახელმ-წიფოს ***რუსეთის*** ხელშეწყობით აზერბაიჯანთან პრობლემის მოსაგვარებლად ვერ ითანამშრომლებს და ძირითადად ***დამოკიდებული*** იქნება ***რუსეთსა და ირანზე***.

►◄ამ შემთხვევაშიაც ***მონოპოლისტ იმპორ-ტიორებზე არასასარგებლო მუდმივი დამო-კიდებულების ინსპირირების საფრთხე მაღალია, რაც შესაძლოა დაუკავშირდეს ამ კუთხით ადგი-ლობრივი რესურსების გამოყენების შეფერხებას. ყოველივე ამ მიმართულებით ენერგეტიკული უსაფრ-თხოების დაბალ მაჩვენებელზე მიანიშნებს***..

კონფლიქტები და მათი ზემოქმედება ქვანახშირის მარაგებზე

ნავთობის და ბუნებრივი აირების მარაგების მსგავსად, არააღდგენად ბუნებრივ რესურსზე-***ქვანახ-შირის მარაგებზე კონტროლიც*** საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის ბრძოლაში ნაკლე-ბად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია.

ქვანახშირის მარაგებზე კონტროლის უზრუნ-ველყოფისათვის ბრძოლის ისტორიაც მრავალ კონფლიქტს უკავშირდება:

☛ 1914-1918 წლებში I მსოფლიო ომში 38 სახელმწიფო, უცხო მიწების და შესაბამისად სიმდი-დრეების (მათ შორის ქვანახშირზე), ბაზრების დაპყრობის მიზნით მონაწილეობდა.

ომის დაწყების წინა პერიოდში, სამრეწველო საჭიროებისათვის ქვანახშირზე მოთხოვნის ზრდას სხვა გარემოებებთან ერთად ხელს უწყობდა მსოფ-ლიოს მასშტაბით სამხედრო-საზღვაო ფლოტის მასშტაბური განვითარება. „1913 წელს 1900 წელთან შედარებით ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი 186%-ით, საფრანგეთის 175%-ით, რუსეთის 288%-ით, ხოლო გერმანიის 375%-ით გაიზარდა.“ [20]

I მსოფლო ომის დაწყებამდე ქვანახშირის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიანიშნებდა 1913 წლისათვის გერმანელი და რუსი მეცნიერების მიერ, ქვანახშირიდან სინთეტიკური საწვავის მიღების ტექნოლოგიის არსებობა.[21]

---

[20] „Причины Первой мировой войны.“ http://voynablog.ru;

[21] „Газификация твердых топлив.“ http://innoexpert.ru;

I მსოფლიო ომში მონაწილეთა (ძლიერ მოწი-ნააღმდეგეთა ალიანსის) განფენა ასე შეიძლება გამოვსახოთ:



ომის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად მიზე-ზად გერმანიასა და ინგლისს შორის სამრეწველო კონკურენცია გახდა.

☛მეორე მსოფლიო ომის დროს ინდონეზიაში იაპონიის მხრიდან ოკუპაცია განხორციელდა,[22] რაც სხვა მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებთან ერთად ქვანახშირის მარაგებზე კონტროლს გულისხმობდა.

☛1947 წელს ინდოეთისა და პაკისტანს შორის საკონფლიქტო ტერიტორიას ჯამუ და ქაშმირი წარმოადგენს, სადაც მრავალ ბუნებრივ რესურსთან ერთად ქვანახშირის[23] მნიშვნელოვანი მარაგებია აღმოჩენილი.

☛ 1975-1994 წლებში დაინტერესებული უცხო ქვეყნების ხელშეწყობით მოზამბიკში მიმდინარე სამოქალაქო ომი[24] ბუნებრივ რესურსებზე (მათ შორის ქვანახშირზე) კონტროლის მიზნით მიმდი-ნარეობდა;

მსოფლიოში ***ქვანახშირის*** მარაგების რაო-დენობა 2005 წლის მონაცემებით 847 500 000 000 ტონას შეადგენს,[25] ხოლო ამავე პერიოდისათვის,[26] საქართველოში ნახშირის იმპორტის ხაზის უზრუნ-ველყოფით დაინტერესებული, ქვანახშირის მარაგით მდიდარი ძირითადი სახელმწიფოების ჩამონათვალი ასე შეიძლება გამოვსახოთ:

N	სახელმწიფო	ქვანახშირის საერთო მარაგები (მლნ.ტონა)
1	აშშ	246643
2	რუსეთი	157010
16	თურქეთი	4186

[22] „Klaus Fuhrmann. Indonesien Geschichte, Staat und Politik.“ http://liportal.inwent.org;
[23] „MECL identifies huge coal reserves in Jammu and Kashmir.“ http://jammuandkashmirupdate.com;
[24] „Mozambique.“ www.ncondezicoal.com;
[25] „Survey of Energy Resources 2007.Coal – Reserves.“ www.worldenergy.org ;
[26] „Proved recoverable coal reserves at end-2006 (million tonnes).“ http://en.wikipedia.org;

საქართველოს გააჩნია ქვანახშირის მნიშ-ვნელოვანი მარაგები, იგი დაახლოებით (330 000 000 ტონას)[27] 450 000 000 ტონას შეადგენს.[28] 1980 წლი-სათვის ქვანახშირის მოხმარება 2,3 მილიონ ტონას შეადგენდა.

ექსპერტთა გათვლებით ქვანახშირის მარა-გებით მდიდარ სახელმწიფოებს საკუთარი რესურ-სები ეყოფათ: „რუსეთს 500 წელი, შესაბამისად ყაზახეთს 300, ამერიკის შეერთებულ შტატებს 250, ავსტრალიას 190, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას 120, ინდოეთს 100, პოლონეთს 55, ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას 55, ჩინეთს 40, გერმანიას 40, ინდონეზიას 20 წელი.“[29]

ამრიგად:

►◄ ***<u>ქვანახშირის მარაგების</u>*** თვალსაზრისით საქართველოს შეუძლია ამ კუთხით იმპორტის არ დაშვების შენარჩუნება და ექპორტის უზრუნველ-ყოფა, რაც ამავე სიმდიდრით გამორჩეულ სახელმ-წიფოთა (განსაკუთრებით სამეზობლოს) ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში შესაძლოა არ შედი-ოდეს;

►◄ ამ შემთხვევაში სახეზეა ***ენერგეტიკული უსაფრთხოების კარგი მაჩვენებელი. ამ კუთხით არსებობს საფრთხე ადგილობრივი რესურსების (დარგის) გამოყენების მიზანმიმართული შეფერხები-სათვის, რაც დარგის განვითარების შემზღუდველი ვითარების ორგანიზაციას უკავშირდება, რაც შეიძლება გამოვლინდეს:***

–მუშაობის ტექნოლოგიური ციკლის მიზან-მიმართულად მოშლაში;

–ნედლეულის წამგებიანი რეალიზაციის პროცესის პროვოცირებაში;

–ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხო მიმდინარეობის უზრუნველმყოფი უხარისხო მანქანა-მოწყობილობების შესყიდვის ორგანიზაციაში;

–საბადოებზე დივერსიულ და ტერორისტულ ქმედებებში და ა.შ.

---

[27] „საქნახშირი.“ http://moe.gov.ge;

[28] Zaza Gordeziani. „THE SOCIAL AND ECONOMICAL IMPORTANCE OF GEORGIAN COAL.“ www.cacianalyst.org;

[29] „Страны, наиболее богатые каменным углем.“ www.etr-nk.ru;

<u>კონფლიქტები და მათი შედეგები ჰიდრორესურსებზე</u>

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნ-ველმყოფ ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ***<u>ჰიდრო-რესურსები</u>*** წარმოადგენს, რაც სასურსათო უსაფრ-თხოების განმაპირობებელი გარემოებაცაა.

ნავთობის, გაზის და ქვანახშირის არააღდგე-ნადი რესურსების ამოწურვის ფონზე, ***აღდგენად ჰიდრორესურზე კონტროლი*** სახელმწიფოთა შორის, საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტია. ამ შემთხვევაშიაც ჰიდრო-რესურსებზე კონტროლის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ისტორიაც მრავალი ვიწრო და ფართო მასშტაბების საბრძოლო კონფლიქტებით არის „გამდიდრებული“, მათ შორის:

☞1974 წელს თურქეთმა მდინარე ევფრატზე კებანის კაშხალი აიგო,[30] რამაც წყლის რესურ-სების მარაგი სირიას შეუმცირა. ქმედება მრავალწლიანი კონფლიქტის საფუძველი გახდა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ტერორიზ-მის[31] წახალისება დაიწყო;

---

[30] Paul R. Hensel. „Armed Conflict over International Rivers: The Onset and Militarization of River Claims.“ www.paulhensel.org;

[31] შ.დათიაშვილი. „წყლისა და ტერორიზმის პრობლემა სირიას, ერაყსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში.“ www.nplg.gov.ge;

☛ბირთვულ სახელმწიფოებს - ინდოეთსა და პაკისტანს შორის კონფლიქტი წყლის რესურსის-წყლის მთავარი არტერიის მდინარე ჯელუმის[32] ირგვლივ დღემდე მიმდინარეობს.

FAO-ს წყლის რესურსების ჰიდროლოგიური კონცეფციის (1996 წელი) მასალებში აღნიშნულია, რომ: დედამიწის წყლის რესურსები 326 000 000 კმ^3 შეადგენს[33]... 2.5%-ია მტკნარი წყალი, ხოლო 97,5% მლაშე წყლების კატეგორიას მიეკუთვნება.

საქართველოში 26 000 კილომეტრზე 26060 მდინარე მიედინება, რომელთა 99,4%, 25 კმ-ზე ნაკლებია.[34]

ჰიდროენერგო რესურსებით მდიდარი ქვეყნის საქართველოს მდინარეები დიდი რაოდენობით ჰიდრავლიკური ენერგიის შემცველობით გამოირჩევა და მას აქვს უნარი შეავსოს სათბობის ნაკლებობა.

ყოველწლიურად მდინარეთა ჰიდროენერგიის მარაგი 150 მილიარდ კვტ-სთ-ზე მეტია, [35] მაგრამ ამჟამად მდინარეთა სიმძლავრის 10%-ია გამოყენე-ბული. საქართველოში აღრიცხული 319 მდინარის ტექნიკური ჰიდრორესურსის 40% რვა მთავარ მდინარეზე (მტკვარი, რიონი, ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, ხრამი და არაგვი) მოდის.

ამრიგად:

►◄***<u>ჰიდრორესურსების</u>*** თვალსაზრისით საქარ-თველოს შეუძლია ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, სხვა იმპორტირებული ენერგეტი-კული პროდუქციის შემცირება მინიმუმამდე ან საერ-თოდ. ასეთი ვითარების მიღწევა ანალოგიური სიმ-დიდრით გამორჩეულ (იმპორტიორ) სახელმწიფოთა (განსაკუთრებით სამეზობლოს) ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებში შესაძლოა არ შედიოდეს;

►◄ამ შემთხვევაში სახეზეა პერსპექტივაში, ***ენერგეტიკული უსაფრთხოების კარგი მაჩვენებელი. ამ კუთხით არსებობს საფრთხე ადგილობრივი რესურსების (დარგის) გამოყენების მიზანმიმართუ-ლი შეფერხების უზრუნველყოფისათვის.***

►◄***ენერგეტიკული დამოუკდებლობის მაჩვე-ნებლების გასაუმჯობესებლად გათვალისწინებული უნდა იყვეს ის გარემოება, რომ რაც უფრო მეტია ჰიდროენერგეტიკის დადგმული სიმძლავრეები, მით უფრო მწვავეა მძლავრი მარეგულირებელი დამა-ბალანსებელი თბოელექტროსადგურების არსებობის აუცილებლობა.***

---

[32] „Jammu & Kashmir.“ www.cic.nic.in/jammu1.htm;

[33] „Types of Water Resources.“ www.ehow.com;

[34] „წყლის რესურსები.“ http://moe.gov.ge;

[35] „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექ-ტივები.“ http://georgianeconomicperspectives1.-blogspot. com;

ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობის *პერსპექტივა საქართველოში.*

ბირთვული ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივა უკავშირდება რადიაციული ფაქტორის ზემოქმედებას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთე-ლობაზე.

თანამედროვე ეტაპზე ბირთვული ენერგეტი-კა მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ისეთი სახელმ-წიფოების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფაში, როგორიცაა საფრანგეთი, შვედეთი, ბელგია, ლიტვა და სხვა. მსოფლიოს 32 ქვეყანაში 438 ატომური ელექტროსადგური არის მოქმედება-ში.[36]არსებობს პროგნოზები ბირთვული ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ:

-„ბირთვულ ენერგეტიკას შეუძლია 2050 წლი-სათვის ელექტროენერგიის 70%, ხოლო 2100 წლი-სათვის 85% აწარმოოს...“[37]

-„რაც უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს ატომური ენერგეტიკა, მისი წვლილი მსოფლიოს ელექროენერგიის გამომუშავებაში სულ მალე 20% გადააჭარბებს...“[38]

---

[36] Hans-Dieter Schilling. „Welche Bedeutung hat die Kernenergie für die Welt ? “ www.energie-fakten.de;

[37] Н.Н.Пономарёв-Степной „Роль атомной энергетики в структуре мирового энергетического производства XXI века и Атомно-водородная энергетика.“ Журнал "Потенциал",__№ 3, 2005. http://potential.org.ru;

[38] მ.ციცქიშვილი, ი.მამაგეიშვილი, გ.ქარჩავა. „რადიობიო-ლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის საფუძვლები“ (სასწავლო კურსი კოლეჯებისა და უნივერსიტეტები-სათვის). თბილისი. 2010. გვ.10

განვიხილოთ ენერგეტიკული უსაფრთხოების (ე.ი. თვითუზრუნველყოფის) უზრუნველმყოფი ზოგი-ერთი მიმართულებების განვრცობის პერსპექტივები საქართველოში. საბჭოთა კავშირის არსებობისას გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში დაგეგმი-ლი იყო ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც ვერ განხორციელდა.

2007 წელს [39] საქართველოს ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით საქართველოს ტერი-ტორიაზე ბირთვული ელექტროსადგურის მშენებ-ლობის შესახებ. ინციატივის განხორციელების შემთხვევაში არსებობს:

- მნიშვნელოვანი ***პერსპექტივები***:

☛ რეგიონში ენერგომატარებლების იმპორტ-ექსპორტის ოპერაციებში მიმწოდებლის სტატუსით აღჭურვა;

☛ თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკურ, ეკონო-მიკურ, სამხედრო კონფლიქტში მყოფ სახელმწი-ფოსთან-რუსეთთან, ამ კუთხით დამოკიდებულების შემცირება და ამ მიმართულებაზე ეროვნული უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება.

☛ ამ მიმართულებით სამეცნიერო კულტურის განვითარება და ა.შ.

- მნიშვნელოვანი ***რისკები***

☛ საქართველოს ხელისუფლების ფაქტობრივ კონტროლს დაუქვემდებარებული ტერიტორიების (ტერორისტული ქმედებების ორგანიზების პერს-პექტიული წყარო) და რუსეთის მხრიდან პროექ-ტისადმი უარყოფითი პოზიციის გათვალისწინებით, მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დომინანტი ქვეყნის (აშშ) და სახელმწიფოთა გაერთიანების (ევროკავშირი) პროექტის ***<u>პოლიტიკურ მხარდაჭე-რაზე</u>*** უარის თქმა;

☛ რისკების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეგიონში-სომხეთში რუსული „***Интер РАО ЕЭС***“–ის [40] კომპანიის კონტროლს დაქვემდებარებული სომხეთის მეცამორის ატომური ელექტროსადგური, რომელსაც მოქმედებების ვადა 2016 წელს ეწურება და არსებობს სათანადო შეთანხმება ამ კომპანიის მიერ, იმავე ადგილზე ახალი ატომური ელექტრო-სადგურის აშენების შესახებ.

მეცამორის (იგივე მეწამორი) ატომური სადგუ-რი მიწისძვრის გამო 1988 წელს დაიხურა, მაგრამ აზერბაიჯანის და თურქეთის სტრატეგიული პარტნი-ორობით, სომხეთის ენერგეტიკული ბლოკადა იყო უზრუნველყოფილი, რაც სადგურის კვლავ ამუშა-ვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება გახდა.

☛ ამჟამად რეგიონში მოუგვარებელი კონ-ფლიქტების (მთიანი ყარაბახი, აფხაზეთი, სამაჩაბ-ლო) ფონზე იზრდება ***<u>პოლიტიკურ მხარდაჭერაზე</u>*** უარის თქმის ალბათობა.

☛ ***<u>ეკოლოგიური რისკების</u>*** კუთხით, ბირთვუ-ლი ელექტროსადგურის უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველმყოფი გარემოს (პერსონალი, ობიექტის მართვის პრაქტიკა, არამდგრადი სეისმური გარემო, მოსახლეობის გაუთვითცნობიერება და ა.შ) არ არსებობა.

განხილულის მიხედვით და უახლესი ისტორის ბირთვული ტრაგედიების (1986 წელი-უკრაინა (ჩერნობილი) და იაპონიის (ფუკუშიმა)[41]) გათვალისწინებით საკითხი მნიშვნელოვან მეცნი-ერულ კვლევას ექვემდებარება და ალბათ უმჯო-ბესია უახლოეს პერსპექტივაში საქართველოში აქცენტი შედარებით უსაფრთხო სხვა მიმარ-თულებებზე გაკეთდეს. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და სტაბი-ლურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქარ-თველო შესაძლოა მაინც დადგეს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექტივის წინაშე.

---

[39] „ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის პერსპექ-ტივები საქართველოში.“ http://kms1. isn. ethz.ch;

[40] ნ.მამუკაძე. „სომხეთის ატომური ელექტროსადგური საქართველოსათვის სახიფათოა“. 16.07.2011. http://presa.ge;

[41] „ატომური ელექტროსადგურები მითი და რეალობა.“ http://iberiana.wordpress.com;

ამ მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ის გარემოება, რომ: „მძლავრი საბაზისო მარეგული-რებელი სადგურის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ენერგოსისტემის დარეგულირება და სტაბილურობის მიღწევა! ჰიდროენერგეტიკის პარადოქსი იმაშია, რომ რაც მეტია საერთო გამომუშავება, მით უფრო მწვავ-დება მოთხოვნილება მარეგულირებელ სიმძლავ-რეებზე. ეს მარეგულირებელი სადგური მხოლოდ ატომური ელექტროსადგურია.“[42]

გაზისა და თბოელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში

საქართველოში ენერგო დეფიციტის შევსება სათბობ-ენერგეტიკული დარგების განვითარებით, ჯერ-ჯერობით პირდაპირ უკავშირდება გარემოს მნიშვნელოვან დაბინძურებას.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს საქართველოში თბოენერგეტიკის და მრეწვე-ლობის სექტორი, წყლის რესურსების დაზიანებას ნავთობპროდუქტებით, თუთიის, მანგანუმის და სპილენძის იონებით, შეწონილი ნაწილაკებით და ა.შ. ახდენდა.[43]

თანამედროვე ეტაპზე დარგის განვითარების პერსპექტივები წინააღმდეგობაში მოდის საქარ-თველოს მიერ გაერო-ს [44] კლიმატის ცვლილებების შესახებ ხელმოწერილი კონვენციის პირობებთან (ვალდებულებებთან), ნაცვლად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას არსებობდა პერს-პექტივა საქართველოს მისცემოდა შესაძლებლობა გაეყიდა კვოტები ამონაბოლქვებზე.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიცია, გლობალურ დათბობაში CO_2-ის უმნიშვნელო როლ-თან დაკავშირებით.

---

[42]Marat tsitskishvili. “Should Georgia have a Nuclear Pover Station?” “The Georgian Times”, N 28, 23 Juli 2007:

[43] მ.ნ.მღებრიშვილი. „კომუნალური სამსახურების ამოცანე-ბი და პერსპექტივები ბუნებრივი რესურსების დასაცა-ვად.“ თბილისი. 1980. გვ.4;

[44] „საქართველოს ენერგეტიკის სექტორის განვითარების პერსპექტივები.“ www.greenalt.org;

განხილულიდან გამომდინარე, დარგის განვი-თარების მიზანშეწონილობა პირდაპირ უკავშირდება საკუთარი ნედლეულის (ქვანახშირის) ხარჯზე ენერგეტიკული და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემის (მათ შორის ***ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმე-ბის*** თვალსაზრისითაც, რაც ***ქვეყნის შიგნით და გარეთ მიგრაციული პროცესების აღკვეთის საუკეთესო საშუალებაა***) მოგვარებას ემსახურება.

ეკოლოგიური პრობლემების არსებობა, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან (მათ შორის ადა-მიანთა ჯანმრთელობის დაზიანება) ***ქვეყნის ტურიზმის განვითარების ხელშემშლელი პირობა შეიძლება გახდეს***.

<u>განხილულიდან გამომდინარე საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად მიზან-შეწონილია საკუთარ ნედლეულზე დამყარებული ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება:</u>

<u>☛ ☛ საკუთარი ქვანახშირის რესურსების ათვისება და დარგის განვითარება;</u>

<u>☛ ☛ აუთვისებელ მდინარეებზე როგორც დიდი ისე მცირე და საშუალო ზომის ჰიდროენერგო სადგურების მშენებლობა;</u>

<u>☛ ☛ სიძვირის მიუხედავად, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ისე საქართველოში ეკოლო-გიურად სუფთა განახლებადი ქარისა (შეფასებული რესურსი შეადგენს 5 ტერავატსაათს წელიწადში (საქართველოს დღევანდელი ელექტრო ენერგიის მოხმარების 60%, სიმძლავრე 2000 მეგავატი)[45] და მზის (ექსპერტების დასკვნებით საქართველოში 250-280 მზიანი დღეა)[46] ენერგიის ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში ინტე-გრაცია;</u>

<u>*დასკვნები*</u>

⬟

საქართველო მუდმივად იქნება <u>დამოკიდე-ბული არაღდგენადი რესურსის – ნავთობის</u> იმპორტ-ზე.

ბაზრების დასაპყრობად ინტერესთა კონფლიქტის ობიექტები შეიძლება გახდნენ ამ ნეედლეულის სიმდიდრით გამორჩეული სახელმ-წიფოები რუსეთი, ირანი და აზერბაიჯანი, რადგან სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, არსებობს ამ ნედლეულის იაფი ტრანსპორტირების პირობა.

ბაზრებზე შეღწევადობისათვის ბრძოლაში შესაძლებელია რუსეთის, ირანის ან აზერბაიჯანის მიერ საკუთარი (მათ შორის უხარისხო) პროდუქ-ციის რეალიზაციისათვის, აგრეთვე საქართველოში არსებულ მარაგებზე კონტროლის უზრუნველ-საყოფად კორუფციული და სხვა სახის (მათ შორის საქართველოში ნავთობის მოპოვების პროცესში) დამაზიანებელი ქმედებების ორგანიზება.

მასშტაბის თვალსაზრისით დამაზიანებელი ქმედების ხარისხზე ზეგავლენის მოხდენის ალბა-თობას გაზრდის, საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემის მოსაგვარებლად მოღვაწე ნედლეულის საერთოდ არმქონე სახელმწიფო სომხეთი.

დამაზიანებელ პროცესებში საკუთარი სტრა-ტეგიული და სასიცოცხლო პრობლემების მოგვა-რების მიზნით სხვადასხვა სტატუსით შესაძლე-ბელია ჩაერთონ სხვა სახელმწიფოებიც.

⬟

<u>ბუნებრივი აირის მარაგების</u> თვალსაზრისით საქართველო მუდმივად დამოკიდებული იქნება იმპორტზე.

ბაზარების დასაპყრობად ინტერესთა კონფ-ლიქტში უპირატესობა, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მარაგებით მდიდარ და ტრანსპორტ-ტირების სიიაფით გამორჩეულ რუსეთის, ირანის და აზერბაიჯანის სახელმწიფოებს ექნება.

---

[45] არჩილ ზედგენიძე „ქარის ენერგეტიკის განვითარება სა-ქართველოში.“ http://weg.ge;

[46] ე.ქევანიშვილი„მზის ენერგიის პერსპექტივები - მზის ქვეყანაში.“ www.radiotavisupleba.ge;

არსებობს საშიშროება მონოპოლისტ იმპორტ-იორებზე არასასარგებლო მუდმივი დამოკიდებულე-ბის ინსპირირებით, ადგილობრივი რესურსების საქართველოს საზიანოდ გამოყენების შესახებ.

კონფლიქტის მასშტაბების ზრდის ალბათო-ბას ზრდის კონფლიქტში, ბუნებრივი აირის საერთოდ არმქონე სახელმწიფოს სომხეთის მონა-წილეობა, რომელიც ინსპირირებული პოლიტიკური პრობლემის მოსაგვარებლად იძულებული არის არ დაიკავოს საქართველოსადმი სასარგებლო პოზიცია.

იმპორტზე დამოკიდებულების მოშლის და ახალი დამოკიდებულების ინსპირირებისათვის შესა-ძლებელია ალიანსებით დატვირთული, სტრატე-გიული და სასიცოცხლო ინტერესების გადასა-წყვეტად მომქმედი სახელმწიფოების პროცესებში ჩართვა.

⬢

<u>საქართველოს გააჩნია</u> <u>ქვანახშირის მნიშვნე-ლოვანი მარაგები,</u> რაც ეკონომიკური და პოლიტი-კური დამოუკიდებლობის სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია.

დარგის პარალიზების ორგანიზაციაში შესა-ძლოა მონაწილეობა მიიღოს იმ ქვეყნებმა, რომლე-ბიც საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ალტერნატიული რესურსის იმპორტით არიან დაკავებული. ამასთან ერთად, არსებობს საფრთხე დარგის განვითარების შესაფერხებლად, ელიტა-რული კორუფციის ორგანიზაციის ხარჯზე ქვანახ-შირის იმპორტის ინსპირირებისათვის.

⬢

<u>საქართველოს გააჩნია ჰიდრორესურსების მნიშვნელოვანი (მათ შორის გამოუყენებელი) მარა-გები, რომლითაც</u> შესაძლებელია ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც სხვა სახის ენერგეტიკული პროდუქციის იმპორტს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

არსებობს საფრთხე ადგილობრივი რესურ-სების გამოყენების მიზანმიმართული შეფერხების უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ჰიდრორესურსებზე დამყარებული ენერგეტიკული სექტორის პარალიზე-ბისათვის.

⬢

<u>საქართველოში ბირთვული ელექტროსადგუ-რების მშენებლობის არაპერსპექტიულობის მაჩვე-ნებლებია:</u>

-საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ენერგეტიკული იმპორტის განმხორციელებელი სახელმწიფოების უარყოფითი დამოკიდებულება და სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისა-ღებად მათ ხელში პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა სახის ბერკეტების არსებობა;

-საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდე-ბლობის მიღწევის მოწინააღმდეგე საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში იმპორტის არ განმხორ-ციელებელი სახელმწიფოები, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი რესურსი სასურველი პოლიტიკური გადა-წყვეტილების მისაღებად;

-საქართველოს ხელისუფლების ფაქტობრივ კონტროლს დაუქვემდებარებული ქართული ტერი-ტორიები, რომლებიც ტერორისტული ქმედებების ორგანიზების პერსპექტიული წყაროა, რაც სპობს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პოლი-ტიკური მხარდაჭერის შესაძლებლობას.

<u>-ეკოლოგიური რისკები, გამოწვეული</u> ბირთვუ-ლი ელექტროსადგურის უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველმყოფი გარემოს არ არსებობით.

⬢

<u>თბოელექტროსადგურების მშენებლობა</u> ადგი-ლობრივი ბუნებრივი რესურსის ათვისების, მოსა-ხლეობის დასაქმების და შესაბამისად ქვეყნის შიგნით და გარეთ მიგრაციული პროცესების აღკვე-თის საუკეთესო საშუალებაა.

დარგის განვითარება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მიერ გაერო-ს კლიმატის ცვლილებების შესახებ ხელმოწერილი კონვენციის პირობებთან.

თბოელექტროსადგურების მშენებლობის და მუშაობის პროცესში უნდა გამოირიცხოს ეკო-ლოგიური რისკები, რადგან ამ კუთხით პრობლე-მების არსებობა, საკუთარი მოსახლეობის ჯანმრ-თელობის დაზიანებასთან ერთად ქვეყნის ტურიზმის განვითარების ხელშემშლელი პირობა შეიძლება გახდეს.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!
უსაფრთხოების როგორც პროფესიის განვითარებისთვის!

სამხედროების, სამართალდამცავების, დიპლომატების, მსხვილი კორპორაციებისა და სტუდენტების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილების უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) თავისი სპეციფიკით ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა სრულიად კავკასიის მასშტაბით. CASE-ის სტუდენტები არიან IT სპეციალისტები, სამხედროები, იურისტები, დიპლომატები, ჟურნალისტები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის ადამიანები.

ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ბიზნესისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების სხვადასხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები, ანალიტიკოსები, ინსტრუქტორები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვაჩნია ძლიერი გუნდი, ექსპერტიზა, გამოცდილება და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავნერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც კავკასიის მასშტაბით სხვაგან არსად არის ხელმისაწვდომი, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა ყოველდღურ ანალიტიკურ საქმიანობას და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამაღლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიციურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია.

სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.globalcase.org